



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/225

25.04.2019 წ

ქ. თელავი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის  
ხელმძღვანელის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ  
ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის  
სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 14-ე მუხლის 6-ე პუნქტის,  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის N11 საოქმო დადგენილების,  
უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ დებულების  
37-ე მუხლის და 38-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით  
შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ვალერიან ელიზბარაშვილი - იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
- თამარ ნადირაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
პროფესორი;
- თამუნა ხეჩიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის  
სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსის სტუდენტი;

2. დაევალოს საარჩევნო კომისიას სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის  
დასაკავებლად დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების  
გატარება „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის

შესახებ დებულების“ და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის N11 ოქმის მიხედვით;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის განცხადებების დაფაზე;
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი დ.აღმაშენებლის გამზირი N41).

უნივერსიტეტის რექტორი:



/ირმა შიოშვილი/